



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE - JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 10 „ 21 „ 11 2019⁶

დადგენილება № 59

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის N24 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში და აღნიშნული კალენდრის 2.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.4 სასწავლო თანხის გადახდის გრაფიკი:

პირველი ეტაპი - 26 აგვისტო - 30 ოქტომბერი, მეორე ეტაპი - 1 ნოემბერი - ზამთრის საგამოცდო სესიის დაწყებამდე.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება გაეგზავნოს ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2



მაკა ბერიძე